ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/ρ1077-22

"08" 08 2022 წ.

დადგენილება №003022
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმის შეწყვეტის შესახებ

08.08.2022წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ მამსიკაშვილმა, განვიხილე, 2022 წლის 6 ივლისის №003022 მითითება და 2022 წლის 8 აგვისტოს №003022 შემოწმების აქტი, შედგენილი ა.(ა).ი.პ. **თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის** (ს.ნ. 404378874; მისამართი: ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №63) მიმართ, საქართველოს კანონის "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ად" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, გზატკეცილი წყნეთი, №63, №01.14.06.007.067 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ა.(ა).ი.პ. თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის მიერ, განხორციელებულია IV კლასის სპორტული (სალონისძიებო) დარბაზის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის, 2020 წლის 22 ივნისის, №4967106 (AR1749169) ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: "1-4" ფასადზე "3-4" მონაკვეთში +5.50 ნიშნულთან დამატებით მოწყობილია საჰაერო დიობები, ასევე შიდა ფართში დამატებით მოწყობილია გამწოვი მილები.

მუნიციპალური ინსპექციის მიერ, საქართველოს კანონის "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ, 2022 წლის 6 ივლისს შედგა №003022 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 25 (ოცდახუთი) კალენდარული დღის ვადა თბილისის, კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2022 წლის 8 აგვისტოს, საქართველოს კანონის "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის მიერ, შედგა №003022 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება, კერძოდ, "1-4" ფასადზე "3-4"

მონაკვეთში +5.50 ნიშნულთან შევსებული იქნა ღიობები, ასევე შიდა ფართში მოიხსნა გამწოვი მილები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ა.(ა).ი.პ. თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის მიერ, გამოსწორებულ იქნა სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, გზატკეცილი წყნეთი, №63, №01.14.06.007.067 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობა მოყვანილ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის, 2020 წლის 22 ივნისის, №4967106 (AR1749169) ბრძანებით შეთანხმებულ, კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით; საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 125-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და

დავადგინე:

1. შეწყდეს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება ა.(ა).ი.პ. თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის მიმართ;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ზ. მამსიკაშვილი